



ევროკავშირი  
საქართველოსთვის  
ENPARD



გზამკვლევი მომზადდა პროექტის „ქედა ლიდერი“ (ქედის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი რესურსებისა და პოტენციალის ოპტიმალური გამოყენება სოფლის განვითარებისათვის) ფარგლებში ევროკავშირის **ENPARD** პროგრამის მხარდაჭერით.

ევროკავშირი საქართველოს სოფლის და სოფლის მეურნეობის განვითარებას ხელს უწყობს სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამის, **ENPARD**-ის დახმარებით. **ENPARD**-ის შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ, იხილოთ ვებგვერდზე **www.enpard.ge**

შინაარსზე პასუხისმგებელია პროექტის განმახორციელებელი და, შესაძლებელია, არ გამოხატავდეს ევროკავშირის მოსაზრებებსა და შეხედულებებს.

The Guidebook was developed under the **EU ENPARD** supported project “Keda Leader” (Optimising the Potential of Local Assets for Rural Development of Keda Municipality).

The European Union provides support to rural development and agriculture in Georgia through **ENPARD**, the European Neighbourhood Programme for Agriculture and Rural Development. More information about **ENPARD** can be viewed at **www.enpard.ge**

The contents in this guidebook are those of the author and do not necessarily reflect views and opinions of the European Union.

**2018**





## შინაარსი CONTENTS

ქედის მუნიციპალიტეტი Keda Municipality .....	6
---	---

### სიღაბი BRIDGES

მახუნცეთის თაღოვანი ხიდი Makhuntseti Arched Bridge .....	12
წონიარისის „ჯაიმელას“ თაღოვანი ხიდი Tsoniarisi "Jaimela" Arched Bridge .....	14
დანდალოს თაღოვანი ხიდი Dandalo Arched Bridge .....	16
აგარის (საღორეთის) მიწის ხიდი Agara (Sagoreti) Earth Bridge .....	18
აქუცის ხიდი Akutsa Bridge .....	20

### ჯამაათი JAMAT KHANAS

აბუქეთას ჯამე Abugeta Jamat Khana .....	24
გეგელიძეების ჯამე Gegelidzeebi Jamat Khana .....	26
ახოს ჯამე Akho Jamat Khana .....	28
გულეების ჯამე Gulebi Jamat Khana .....	30
დოლოგანის ჯამე Dologani Jamat Khana .....	32
ვარჯანისის ჯამე Varjanisi Jamat Khana .....	34

ზედა ბზუბზუს ჯამე Zeda Bzubzu Jamat Khana .....	36
ზვარეს ჯამე Zvare Jamat Khana .....	38
კოკოტაურის ჯამე Kokotauri Jamat Khana .....	40
დერეხოხნას ჯამე Derekhokhna Jamat Khana .....	42
მერისის მედრესე Merisi Medrese .....	44
უჩხითის ჯამე Uchkhiti Jamat Khana .....	46
ქვედა მახუნცეთის ჯამე Kveda Makhuntseti Jamat Khana .....	48
ცხმორისის ჯამე Tskhmorisi Jamat Khana .....	50
ძენძმანის ჯამე Dzentsmani Jamat Khana .....	52
ჭინკაძეების ჯამე Chinkadzeebi Jamat Khana .....	54
<b>საფორტიფიკაციო ნაგებობები, კოშკები FORTIFICATIONS, TOWERS</b>	
კოლოტაურის კოშკი Kolotauri Tower .....	58
გეგელიძეების კოშკი Gegelidzeebi Tower .....	60
ცივასულას ციხე Tsivasula Fortress .....	62
ზედა მახუნცეთის კოშკი Upper Makhuntseti Fortress .....	64

ზენდიდის ციხე Zendidi Fortress .....	66
ზესოფლის ციხე Zesopeli Fortress .....	68
სალორეთის ციხე Sagoreti Fortress .....	70
ზვარეს კოშკი Zvare Tower .....	72

## საწნახელები WINEPRESSES

კოკოტაურის საწნახელი Kokotauri Winepress .....	76
კორომხეთის საწნახელი Koromkheti Winepress .....	78
ოქტომბრის აჯაშპირის საწნახელი Ajashpiri Winepress in Oktomberi Village .....	80

## ნაგებობების ნანგრევები, წყარო, მამოქვაბული REMAINS OF CHURCHES AND RESIDENTIAL HOUSES, A SPRING AND A CAVE

ზენდიდის ნაეკლესიარი Remains of a Church in Zendidi .....	84
ოქტომბრის შერვაშიძეების სასახლარი Remains of the Shervashidzebis House in Oktomberi .....	86
მეძიბნას წყარო Medzibna Spring .....	88
კოლოტაურის ნეოლითური ხანის გამოქვაბული Kolotauri Neolithic Cave .....	90

**ქედის მუნიციპალიტეტი** მდებარეობს მდინარე აჭარისწყლის შუაწელზე. ჩრდილოეთით, 38 კმ სიგრძეზე ქობულეთი ესაზღვრება, აღმოსავლეთით 24 კმ სიგრძეზე შუახევი, დასავლეთით 24 კმ სიგრძეზე ხელვაჩაური, სამხრეთით კი თურქეთის 17 კილომეტრიანი საზღვარი აკრავს. ქედას სამხრეთით მიუყვება შავშეთის ქედი, ჩრდილო-აღმოსავლეთით მესხეთის ქედი, ჩრდილოეთითა და ჩრდილო-დასავლეთით – ქობულეთის ქედი.

მუნიციპალიტეტის საერთო ფართობი 452 კმ<sup>2</sup>-ია. მოსახლეობის რაოდენობა – 21,244. ქედის მუნიციპალიტეტში შედის 9 საკრებულო და 64 დასახლებული პუნქტი. ადმინისტრაციული ცენტრი დაბა ქედაა, რომელიც ზღვის დონიდან 200 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს.

მდინარე აჭარისწყლის გასწვრივ ხმელთაშუა ზღვის ტიპის მსგავსი სუბტროპიკული ჰავაა. სიმაღლის მატების შესაბამისად ჰავა ნოტიო ხდება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ძირითადად, ორი ნიადაგური ზონაა: მთა-ტყისა და მთა-მდელოს ნიადაგები. მდიდარი და მრავალფეროვანია მცენარეული საფარი. ძირითადად გავრცელებულია ფოთლოვანი და მცირე რაოდენობით – წიწვოვანი მცენარეები. მრავალფეროვანია ცხოველთა სამყარო. სოფლის მეურნეობის ძირითადი დარგებია: მეხილეობა, მევენახეობა, მემცენარეობა, მებოსტნეობა, მეფუტკრეობა. განვითარებულია საკალმახე მეურნეობა (ოქტომბერი, აგარა, წონიარისი, ცხმორისი).

ქედა გამოირჩევა ყურძნის უნიკალური ჯიშებით. მუნიციპალიტეტში წარმოებული ღვინოები – „ქედის ცოლიკოური“ და „ჩხავერი“ – დიდი პოპულარობით სარგებლობს. მოწყობილია ღვინის მარნები (მ. შერვაშიძე – სოფ. პირველი მაისი, ლადო შავიშვილი – სოფ. ვაიო, ნური სირაბიძე – სოფ. გეგელიძეები).

მუნიციპალიტეტი მდიდარია სხვადასხვა ბუნებრივი წიაღისეულით – სპილენძისა და ოქროს საბადოებით (მერისი, ვაიო). სამკურნალო და მინერალური წყლებიდან აღიარებულია „კოკოტაურისა“ და „გუნდაურის“ წყლები. „კოკოტაურს“ მინიჭებული აქვს საერთაშორისო სერთიფიკატი.

ისტორიული მემკვიდრეობიდან გამოირჩევა მატერიალური კულტურის ძეგლები: სათვალთვალო კოშკები – კავიანი, გულები, ძენწმანი, საღორეთი, ცივასულა; ქვის თაღოვანი ხიდები – მახუნცეთი, პირველი მაისი, წონიარისი, დანდალო; ციხეები – ზენდიდი, ცივასულა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აჭარისწყლისა და მთის მდინარეების ხეობებში შესაძლებელია როგორც ფლორისა და ფაუნის მრავალფეროვანი ნიმუშების, ასევე ჩანჩქერების მონახულება.

**The Keda Municipality** is located in the middle of the Adjaristskali river basin. The Keda Municipality shares a 38 km-long border with the Kobuleti Municipality to the north, a 24 km-long border with the Shuakhevi Municipality to the east, a 24 km-long border with the Khelvachauri Municipality to the west, and a 17 km-long border with Turkey to the south. The Shavsheti and Meskheta mountain ranges run through the southern part of the Municipality while the Kobuleti mountain range runs through the north/north-west part.

The total area of the municipality is 452 km<sup>2</sup>, with a population of 21,244. The municipality consists of 10 communities and 64 settlements. The town of Keda, located 200 m above sea level, is an administrative center of the municipality.

Areas located along the Adjaristskali river are characterized by a Mediterranean subtropical climate. Humidity increases with altitude. Two soil zones, mountain-forest and mountain-meadow, are found on the territory of the municipality. Vegetation and fauna are rich and diverse. Mainly deciduous tree species are widespread. The distribution of conifers is relatively limited. The main agricultural activities include fruit farming, vine growing, crop growing, vegetable growing, bee-keeping, as well as fish (trout) farming (in Oktomberi, Agara, Tsoniarisi, Tskhmoris).

The Keda Municipality is notable for its unique vine varieties. Local vines, Kedis Tsolikauri and Chkhaveri, are in high demand. There are a number of vine cellars: M.Shervashidze – village Pirveli Maisi, Lado Shavishvili – village Vaio, Nuri Sirabidze – village Gegelidzebi.

The Municipality is rich in various mineral resources such as copper and gold deposits (in Merisi, Vaio) and medicinal and mineral waters, the most notable being Kokotauri and Gundauri waters. Kokotauri has been awarded an international certificate.

Historical heritage sites consist mainly of cultural monuments: watchtowers in Kaviani, Gulebi, Dzentsmani, Sagoreti, Tsivasula; arched stone bridges iMakhuntseti, Pirveli Maisi, Tsoniarisi, Dandallo; and fortresses in Zendidi, Tsivasula.

Diverse flora and fauna, as well as numerous waterfalls can be observed by visitors in the gorges of Adjaristskali and other mountainous rivers flowing in the territory of Keda Municipality.

## ქედის მუნიციპალიტეტი დაყოფილია ცხრა ადმინისტრაციულ ერთეულად

- **დაბა ქედის ადმინისტრაციული ერთეული. დასახლებები:** დაბა ქედა, სოფლები – ქედა, გულები, ხუნკუდა, ორცვა, არსენაული, შევაბური, ძენწმანი, კორომხეთი, ცხემნა, აქუცა, ზენდიდი.
- **დანდალოს ადმინისტრაციული ერთეული. დასახლებები:** სოფლები – დანდალო, ტაკიძეები, მოსიაშვილები, გოგიაშვილები, ბალაძეები, ხარაულა, ჯალაბაშვილები.
- **ზვარეს ადმინისტრაციული ერთეული. დასახლებები:** სოფლები – ზვარე, ზესოფელი, კვაშტა, სირაბიძეები, ვაიო.
- **მახუნცეთის ადმინისტრაციული ერთეული. დასახლებები:** სოფლები – ზედა მახუნცეთი, ქვედა მახუნცეთი, ზუნდაგა, ზედა ბზუბზუ, ქვედა ბზუბზუ, უჩხითი, ნამლისევი, ქოსოფელი, მილისი, დოლოგანი, ჭალახმელა, ჭინკაძეები.
- **მერისის ადმინისტრაციული ერთეული. დასახლებები:** სოფლები – მერისი, სიხალიძეები, ინაშარიძეები, გარეტყე, გუნდაური, ნამონასტრევი, სილიბაური.
- **ოქტომბრის ადმინისტრაციული ერთეული. დასახლებები:** სოფლები – ოქტომბერი, კუჭულა, მეძიბნა, აგოთა, გოგინიძეები.
- **პირველი მაისის ადმინისტრაციული ერთეული. დასახლებები:** სოფლები – პირველი მაისი, ზედა აგარა, ქვედა აგარა, კოლოტაური.
- **ცხმორისის ადმინისტრაციული ერთეული. დასახლებები:** სოფლები – ცხმორისი, ახო, ჩეტკიძეები, გობრონეთი, კოკოტაური, გეგელიძეები.
- **წონიარისის ადმინისტრაციული ერთეული. დასახლებები:** სოფლები – წონიარისი, ვარჯანისი, ტიბეთა, კანტაური, აბუქეთა, სასადილოყელი, საბადური.


## The Keda Municipality is subdivided into nine administrative units:

- **Town of Keda administrative unit. Settlements:** Town of Keda, villages - Keda, Gulebi, Khunkuda, Ortsva, Arsenauli, Shevaburi, Dzentsmani, Koromkheti, Tskhemna, Akutsa, Zendidi.
- **Dandallo administrative unit. Settlements:** villages - Dandallo, Takidzeebi, Mo-siashvilebi, Gogiashvilebi, Baladzeebi, Kharaula, Jalabashvilebi.
- **Zvare administrative unit. Settlements:** villages - Zvare, Zesopeli, Kvashta, Sir-abidzeebi, Vaio.
- **Makhuntseti administrative unit. Settlements:** villages - Zeda Makhuntseti, Kveda Makhuntseti, Zundaga, Zeda Bzubzu, Kveda Bzubzu, Uchkhiti, Namlisevi, Kosopeli, Milisi, Dologani, Chalahmela, Chinkadzeebi.
- **Merisi administrative unit. Settlements:** villages - Merisi, Sikhaldzeebi, Inasha-ridzeebi, Garetke, Gundauri, Namonastrevi, Silibauri.
- **Oktomberi administrative unit. Settlements:** villages - Oktomberi, Tskhmorisi, Akho, Chetkidzeebi, Gobroneti, Kokotauri, Gegelidzeebi.
- **Pirveli Maisi administrative unit. Settlements:** villages - Pirveli Maisi, Upper Aga-ra, lower Agara, Kolotauri.
- **Tskmorisi administrative unit. Settlements:** villages - Tskmorisi, Agho, Chetkid-zeebi, Gobroneti, Kokotauri, Gegelidze
- **Tsoniarisi administrative unit. Settlements:** villages - Tsoniarisi, Varjanisi, Tibeta, Kantauri, Abukeda, Sasadilokeli, Sabaduri.

# ქედის მუნიციპალიტეტი Keda Municipality



- დაბა ქედა • Keda Town
- მთავარი გზატკეცილი • Main Road
- გზა • Road
- მდინარე • River
- მუნიციპალიტეტის საზღვარი • Municipality Border
- ტყე • Forest
- ურბანული ზონა • Urban Area



- 1 მახუნცეთის თაღოვანი ხიდი • Makhuntseti Arched Bridge
- 2 წონიარისის "ჯაიმელას" თაღოვანი ხიდი • Tsoniarisi "Jaimela" Arched Bridge
- 3 დანდალოს თაღოვანი ხიდი • Dandalo Arched Bridge
- 4 აგარის (საღორეთის) მიწის ხიდი • Agara (Sagoreli) Earth Bridge
- 5 აქუცის ხიდი • Akutsa Bridge
- 6 აბუქეტას გამე • Abuketa Jamat Khana
- 7 გეგელიძეების გამე • Gegelidzebi Jamat Khana
- 8 ახოვ გამე • Akho Jamat Khana
- 9 გულეების გამე • Gulebi Jamat Khana
- 10 დოლოგანის გამე • Dologani Jamat Khana
- 11 ვარჯანისის გამე • Varjanisi Jamat Khana
- 12 ზედა ბზუბზუს გამე • Upper Bzubzu Jamat Khana

- 13 ზვარეს გამე • Zvare Jamat Khana
- 14 კოკოტაურის გამე • Kokolauri Jamat Khana
- 15 დერეხოხნას გამე • Derekhokhna Jamat Khana
- 16 მერიის მედრესე • Merisi Medrese
- 17 უჩხითის გამე • Uchkhiti Jamat Khana
- 18 ქვედა მახუნცეთის გამე • Lower Makhuntseti Jamat Khana
- 19 ცხმორისის გამე • Tskhmorisi Jamat Khana
- 20 ძენწმანის გამე • Dzenistsmani Jamat Khana
- 21 ჭინკაძეების გამე • Chinkadzebi Jamat Khana
- 22 კოლოტაურის გოშე • Kolotauri Tower
- 23 გეგელიძეების გოშე • Gegelidzebi Tower
- 24 დივასულას ციხე • Tsiwasula Fortress

- 25 ზედა მახუნცეთის გოშე • Upper Makhuntseti Fortress
- 26 ზენდიდის ციხე • Zendidi Fortress
- 27 ზესოფელის ციხე • Zesopeli Fortress
- 28 საღორეთის ციხე • Sagoreli Fortress
- 29 ზვარეს გოშე • Zvare Tower
- 30 კოკოტაურის საწნახელი • Kokolauri Winepress
- 31 კორომხეთის საწნახელი • Koromkhethi Winepress
- 32 ოქტომბერის აგაშპირის საწნახელი • Ajashpiri Winepress in Oktomberi Village
- 33 ზენდიდის ნაგებობის ნანგრევები • Remains of a Church in Zendidi
- 34 ოქტომბერის შერვაშიძეების სასახლის ნანგრევები • Remains of the Shervashidzebi's House in Oktomberi
- 35 მედიზნას წყარო • Medzibna Spring
- 36 კოლოტაურის ნეოლითური ხანის გამოქვაბული • Kolotauri Neolithic Cave



ბიზნის  
BRIDGES





მახუნთსეთის  
თაღოვანი  
ხიდი

MAKHUNTSETI  
ARCHED  
BRIDGE



**პერიოდი:** IX-X სს.

### მდებარეობა

ხიდი მდებარეობს ბათუმი-ხულოს ცენტრალური გზიდან 54 მეტრის დაშორებით - ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ მახუნცეთში.

### აღწერილობა

ხიდი დიდი ზომისაა და ეყრდნობა კლდის ბუნებრივ ბურჯებს. იგი აშენებულია ვულკანური წარმოშობის კლდის ქვით, კირის დუღაბზე. ბურჯიდან ბურჯამდე ხიდის ჰორიზონტალური სიგრძეა 19.5 მეტრი, ხიდის სავალი ნაწილის სიგრძე - 28.7 მეტრი, სიგანე შუაწელზე - 2.5 მეტრი. თალის სიმაღლე წყლის დონიდან 5.6 მეტრია, ხოლო თალის ზედაპირამდე - 6.3 მეტრი. ხიდის ბურჯებს ფოსოები არ აქვთ. ხიდს საუკუნეების განმავლობაში უტარდებოდა აღდგენით-გამაგრებითი სამუშაოები, რაც დასტურდება დამატებითი ქვის წყობის რიგებით, რომლებიც სრულიად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ზომით, ფორმითა და წყობის ხასიათით.

**ფუნქცია:** ხიდი კარგ მდგომარეობაშია და ფუნქციონირებს.

**PERIOD:** IX-X centuries

### LOCATION

The bridge is located in Makhuntseti village in Keda Municipality, 54 m away from the Batumi-Khulo motor road.

### DESCRIPTION

This is a large bridge supported by natural rock abutments. The bridge is built out of volcanic stones with the use of lime mortar. The horizontal length of the bridge – the distance between its abutments - is 19.5 m. The length of its roadway is 28.7 m, and the width of its middle section is 2.5 m. The height of the arch from the water level is 5.6 m, and the distance from the water to the surface of the arch is 6.3 m. Holes from framing scaffolds are not observed on the abutments. It was renovated several times over the centuries which can be seen by the presence of additional stonework that differ from each other in size, shape and setting.

**FUNCTION:** The bridge is in good condition and is still in operation.





წონიარისის  
„ჯაიმელა“  
თაღოვანი  
ხიდი

TSONIARISI  
“JAIME LA”  
ARCHED  
BRIDGE



**პერიოდი:** IX-X სს.

### მდებარეობა

ხიდი მდებარეობს ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ წონიარისის მდინარეზე, რომელიც მარჯვენა მხრიდან ერთვის აჭარისწყალს. იგი ცენტრალური მაგისტრალის ბათუმი-ხულოს მონაკვეთის წონიარისის გზის გასაყარიდან 2,790 მეტრის დაშორებითაა წარმოდგენილი.

### აღწერილობა

ხიდი უმოკლესი გზით აკავშირებდა აჭარისწყლის ხეობას ხინოს სამონასტრო კომპლექსთან და, შესაბამისად, კინტრიშის ხეობასა და გურიის სოფლებთან.

ხიდის სიგრძეა 22 მეტრი, მარჯვენა მისასვლელის სიგანე – 3.3 მეტრი, მარცხენა მისასვლელის სიგანე – 3.8 მეტრი, ხიდის სიგანე შუა ნაწილში – 2.5 მეტრი, ხიდის სიმაღლე წყლის ზედაპირიდან თავბანდამდე – 8.70 მეტრი.

**ფუნქცია:** ხიდი ფუნქციონირებს.

**PERIOD:** IX-X centuries

### LOCATION

The bridge is built over the river of Tsoniarisi village in Keda Municipality. The river is the right tributary of the Adjaristskali river. The bridge is located at a distance of 2,790 m from the turn to Tsoniarisi village to the Batumi-Khulo motor road.

### DESCRIPTION

The bridge has been providing the shortest possible path between the Adjaristskali river Gorge and the Khino monastery complex, as well as for the Kintrishi river gorge and the villages in the Guria region.

The bridge is 22 m long. The width of its right access is 3.3 m, the width of its left access is 3.8 m and the width of its central part is 2.5 m. The height of the bridge from the water level up to its main beam is 8.7 m.

**FUNCTION:** The bridge is still in operation.



## დანდალოს თაღოვანი ხიდი

## DANDALO ARCHED BRIDGE



**პერიოდი:** IX-X სს.

### მდებარეობა

დანდალოს ხიდი მდებარეობს ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დანდალში, ბათუმი-ხულოს საავტომობილო გზის მახლობლად.

### აღწერილობა

სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით, “დანდალო” ლაგამს, ანუ პირის მახეს, ნიშნავს. ლაგამი იგივე სადავეა. შესაძლოა, “დანდალოს” სახელწოდების ძირი აქედან წარმოდგებოდეს. აჭარისწყალთან გადიოდა სახელმწიფოებრივი მნი-

**PERIOD:** IX-X centuries

### LOCATION

The Dandalo bridge is located in Dandalo village in Keda Municipality, near the Batumi-Khulo motor road.

### DESCRIPTION

According to Sulikhan-Saba Orbeliani, “Dandalo” means a bridle. Supposedly, the bridge takes its name from bridle. In the past, an important road connecting lower and upper Adjara was laid along the Adjariatskali river. The construction of a road over this river would have

შენელობის შარაგბა, რომელიც აერთებდა ზემო და ქვემო აჭარას. ამ მდინარეზე ხიდის აგება დიდ სიძნელესთან – მდინარის დამორჩილებასთან – იქნებოდა დაკავშირებული. რაკი “დანდალო” ლაგამს ნიშნავს, ადვილი საფიქრებელია, სახელწოდება “დანდალო” აჭარისწყალზე ხიდის აგების, ანუ მდინარის დამორჩილების, მისთვის ლაგამის ამოღების შინაარსთან იყოს დაკავშირებული.

ხიდი კლდოვანი ქანებით არის აგებული მდინარის ვიწრო ადგილას და მისი სიგანე 20 მეტრს აღწევს. ხიდი თხელი თალით და დახვეწილი პროპორციებით გამოირჩევა. ბურჯები კლდეზეა აღმართული, მათზე შემორჩენილია ხარაჩოების ბუდეების ფოსოები. ხიდის პარამეტრები: ხიდის საგალი ნაწილის სიგრძე ბურჯიდან ბურჯამდე 35.9 მეტრია, სიგანე ხიდის შუა ნაწილში 2.7 მეტრია, ნაპირზე, ბურჯებთან – 3.6 მეტრი. ბურჯიდან ბურჯამდე მანძილი 21.7 მეტრს აღწევს. სიმაღლე წყლის დონიდან თალის ზემო ნაწილამდე 8.5 მეტრია, ხოლო წყლის დონიდან თალამდე – 7.6 მეტრი. დანდალოს ქვის თაღოვანი ხიდი საქართველოს ქვის თაღოვან ხიდებს შორის საინიშნაო ძეგლადაა მიჩნეული.

**ფუნქცია:** ხიდი ფუნქციონირებს.

been associated with technological difficulties. Since “Dandalo” means bridle, it can be assumed that its name comes from the process of constructing the bridge, specifically, from “bridling” the river.

The bridge is built in a 20 m wide narrow rocky section of the river. The bridge is notable for its arched shape and sophisticated proportions. Abutments, where the holes from framing scaffolds are still observed, are built into the cliffs. The bridge has the following parameters: the length of a roadway between the abutments is 35.9 m, the width of the central section of the bridge is 2.7 m, the width of the bridge at the abutments is 3.6 m, the distance between the abutments reaches 21.7 m, the height from the water level to the upper point of the arch is 8.5 m, and the height from the water level up to the arch is 7.6 m. The Dandalo arched bridge is one of the most outstanding arched bridges in Georgia.

**FUNCTION:** The bridge is still in operation.





აგარის  
(სალორეთის)  
მიწის ხიდი

A G A R A  
(S A G O R E T I)  
EARTH BRIDGE



**პერიოდი:** XI-XIII სს.

### მდებარეობა

მიწის ხიდი აგებულია ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ სალორეთში, აჭარისწყლის მარჯვენა შენაკადზე, მდინარე ჭანჭახეთზე, ვიწრო და

**PERIOD:** XI-XIII centuries

### LOCATION

The earth bridge is built in a narrow and rocky section of the Chanchakheti river in the right tributary of the Adjaraistkali river in Sagoreti village of the Keda

კლდოვან ადგილზე, ბათუმი-ხულოს საავტომობილო გზაზე მდებარე სოფელ პირველი მაისის ცენტრიდან 3.5 კმ-ის დაშორებით.

### აღწერილობა

ხიდის სიგრძე ჰორიზონტალურად ბურჯიდან ბურჯამდე 7 მეტრია, საველი ზედაპირის სიგრძე - 13 მეტრია. ხიდის სიგანე შუა ნაწილში 1.9-2 მეტრი. სიმაღლე წყლის დონიდან თალამდე - 9.9-10 მეტრია. ხიდის ბურჯი დაშენებულია ბუნებრივ კლდეზე და მისი სიმაღლე წყლის ზედაპირიდან 4.64 მეტრია, ბურჯის სიმაღლე - 1.16 მეტრი, სიგანე - 2.62 მეტრი. ხიდის ბურჯებს ეყრდნობა თალი, რომელსაც წრიული ფორმა აქვს და აშენებულია გათლილი, სუფთა ქვებით. თალის კონსტრუქცია თავბანდსა და ქუსლში ერთნაირია და შეადგენს ნახევარ მეტრს. ხიდის თალი შედგება ორი ნაწილისაგან - თვით კონსტრუქციისა და გალავნისაგან. ხიდის მისასვლელები ნაგებია ფლეთილი ქვებით. სამშენებლო ტექნიკა სხვა ხიდებთან შედარებით დახვეწილია. ამ თვალსაზრისით მასთან ახლოს დგას მახოს ხიდი.

**ფუნქცია:** ხიდი კარგ მდგომარეობაშია და ფუნქციონირებს.

Municipality. The bridge is located 3.5 km away from the center of Pirveli Maisi village situated at the Batumi-Khulo motor road.

### DESCRIPTION

The horizontal length of the bridge between the abutments is 7m, the length of the roadway is 13 m, the width of the bridge in its central section is 1.9-2 m, and the height from the water level to the arc is 9.9-10 m. The abutment of the bridge is built into the natural cliff the height of which from the water level is 4.64 m. The height of the abutment is 1.16 m and the width is 2.62 m. The abutments support the round arch that is built out of stones. The structure of the arch in its main beam and foot is similar. The arch consists of two parts: the structure itself and a hedge. Access sections of the bridge are built of ragged stones. The techniques that have been used for the construction of this bridge are more sophisticated compared to other bridges. In this regard the Makho bridge is comparable.

**FUNCTION:** The bridge is in good condition and is still in operation.



## აკუტსის AKUTSA ბიძი BRIDGE

**პერიოდი:** XI-XII სს.

### მდებარეობა

აქუცის ხიდი მდებარეობს ქედის რაიონული ცენტრიდან 3 კმ-ის დაშორებით, ბათუმი-ხულოს საავტომობილო გზაზე.

### აღწერილობა

ხიდი მდებარეობს მდინარე სოფელ აქუცაში, აჭარისწყალზე. იგი დროთა განმავლობაში დაინგრა. ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ბურჯებმა. მათგან ის ბურჯი, რომელიც მარჯვენა მხარესაა თითქმის საძირკვლის დონემდეა მორღვეული. შედარებით კარგადაა შემორჩენილი ნაშთები მარცხენა მხარეს (სიგანე – 2.8 მეტრი, შემორჩენილი სიმაღლე – 1.8 მეტრი). ჩანს, რომ ბურჯები ზედ კლდის ქანზე იყო დაშენებული. მშენებლობაში გამოყენებული ყოფილა კარგად დამუშავებული ქვები და კირის დუღაბი.

**ფუნქცია:** ხიდი აღარ არსებობს, დანგრეულია.

**PERIOD:** IX-X centuries

### LOCATION

Akutsa bridge is located at the Batumi-Khulo motor road, 3 km away from the administrative center of Keda Municipality.

### DESCRIPTION

The bridge is built over the Adjaristskali river in Akutsa village. Currently the bridge is destroyed and only its abutments are left. The right abutment is almost ruined, and the remnants of the left one are in a relatively better condition (the width – 2.8 m, the height – 1.8 m). The abutments were built into the cliff. Stones and lime mortar were used in the construction of the bridge.

**FUNCTION:** The bridge no longer exists; it is completely destroyed.



ჯამათი  
JAMAT KHANAS





აბუკეტას  
ჯამე

ABUKETA  
JAMAT KHANA



**პერიოდი:** XIX ს.

### მდებარეობა

ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი აბუკეტა

### აღწერილობა

ორსართულიან ხის ჯამეს პირველი სართული სარდაფია, მეორე სართული - ორსინათლიანი სამლოცველო დარბაზი. ჯამე აივანებიანად გეგმით კვადრატს წარმოადგენს, სამხრეთით თაღოვანი მიჰრაბით.

ინტერიერში დეკორაციულად აქცენტირებულია მიჰრაბი, კათედრა და ფრიზი, რომელიც ქოროს მიუყვება. ყველა მოსართავი ხის ჩუქურთმა შესრულებულია აპლიკაციის სახით და დაფერილია წითელი, მწვანე და ყვითელი საღებავებით.

ჯამეს ყველა კედელი დანაწევრებულია სარკმლებით. შესასვლელი ჩრდილოეთიდანაა, სადა კარი ორფრთიანია. ჯამეს ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან ღია, სვეტებიანი აივნები აქვს. აივნის იატაკს ზოლურებიანი ფრიზი მიუყვება.

**ფუნქცია:** ჯამე დღეს აღარ არსებობს, დანგრეულია.

**PERIOD:** XIX century

### LOCATION

Keda Municipality, Abuketa village

### DESCRIPTION

The first floor of the two-storey wooden jamat khana is a cellar, and the second floor is a prayer room with two tiers of windows. The jamat khana with its balconies has a square-shaped ground plan with an arched mihrab on the south. The mihrab, pulpit and friso along the choir are decorated with wooden carvings and ornaments painted in red, green and yellow.

All walls of the building have windows. The entrance has a two leaved door facing the south. The jamat khana has columned balconies to the north and east. The floors of the balconies are decorated with friso.

**FUNCTION:** The jamat khana no longer exists; it is completely destroyed.





**პერიოდი:** XIX ს.

### მდებარეობა

მეჩეთი მდებარეობს ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ გეგელიძეებში, ბათუმი – ხულოს საავტომობილო გზიდან 2,900 მეტრის დაშორებით.

### აღწერილობა

მეჩეთი ორსართულიანი ხის შენობაა, რომელიც დაშენებულია გათლილი ქვის საძირკველზე და წარმოადგენს აჭარული სახლის ხუროთმოძღვრულ სახესხვაობას. მეჩეთის შიდა ინტერიერი, ბოძები, მიჰრები, მიმბარი, ნიში შემკულია ქართული წესით ხეზე კვეთის უნიკალური ნიმუშებით: ჩუქურთმებითა და ორნამენტებით. გარე ფასადი შელესილია ლურჯი საღებავით. შენობის სიგრძე 7 მეტრია, სიგანე – 6.5, ხოლო სიმაღლე – 4.5 მეტრი.

**ფუნქცია:** საბჭოთა პერიოდში გამოიყენებოდა საწყობად. მეჩეთი ამჟამად კარგ მდგომარეობაშია და ფუნქციონირებს.

**PERIOD:** XIX century

### LOCATION

The mosque is located in Gegelidzeebi village in Keda Municipality, 2,900 m away from the Batumi-Khulo motor road.

### DESCRIPTION

The mosque is a two-storey wooden structure built on a foundation made of stones. From the architectural point of view, this building is a variation of a traditional Adjarian house. The interior of the mosque (i.e. columns, mihrab, minbar, nish) is decorated with exceptional Georgian wooden carvings. The façade of the building is painted blue. The length of the building is 7 m, the width is 6.5 m and the height is 4.5 m.


**FUNCTION:** In Soviet times the building was used as a storehouse. Currently, the mosque is in good condition and is functional.





ახო  
ჯამა

AKHO  
JAMAT KHANA



**პერიოდი:** XIX ს.

**მდებარეობა**

ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი  
ახო, ძველი სასაფლაოს ტერიტორია

**PERIOD:** XIX century

**LOCATION**

Keda Municipality, Akho village, an area  
in the old cemetery

## აღწერილობა

ორსართულიანი ხის ჯამეს პირველი  
სართული სარდაფია, მეორე – ორ-  
სინათლიანი სამლოცველო დარ-  
ბაზი. ზომები: 8.8 X 9.3 მეტრი  
სახურავად გამოყენებულია კრამი-  
ტი. ჯამე აივნიანად გეგმით სწორ-  
კუთხედს წარმოადგენს, სამხრეთით  
კბილანათალიანი მიჰრაბით, რომ-  
ლის თავზეც არაბული წარწერაა.  
ცენტრალური სივრცის ჭერი გუმ-  
ბათიანია, გუმბათი შიგნიდან მოხა-  
ტულია ზეთის საღებავებით. ოთხივე  
მხრიდან აუხრული მოაჯირი აკრავს.  
რომელიც სამხრეთის მხარეს დე-  
კორაციულ მორთულობას წარმო-  
ადგენს, ჩრდილოეთით კი მცირე  
ზომის ნახევარწრიული აივანია გა-  
მოყოფილი.

ინტერიერში დეკორაციულად აქცენ-  
ტირებულია კათედრა, მიმბარი და  
ქოროს მოაჯირი. ხის ორნამენტები  
შესრულებულია აპლიკაციის სახით  
და დაფერილია. ჯამეს ყველა კედე-  
ლი დანაწევრებულია სარკმლებით.  
ჯამეს ჩრდილო-დასავლეთ კუთხეში  
შემორჩენილია მინარეთის ქვედა  
ნაწილი, მისი ქვის წყობა მშრალია,  
სიმაღლე 2 მეტრს აღწევს. მეჩეთი  
იმით არის გამორჩეული, რომ ერთ-  
ერთი ყველაზე ადრინდელია აქ  
არსებულ ჯამეებს შორის.

**ფუნქცია:** მოქმედი ჯამე.

## DESCRIPTION

The first floor of the two-storey wooden  
jamat khana is a cellar, and the second  
floor is a prayer room with two tiers of  
windows. The dimensions are 8.8 x 9.3  
m. The roof is covered with ceramic tiles.  
The jamat khana with its balcony has  
a rectangular floor plan. On the south  
there is an arched toothed mihrab with  
an Arabic inscription on its top. The  
central space has a domed ceiling. The  
dome is covered with oil paintings and  
has a lace balustrade around it. The  
southern part of the balustrade has a  
decorative function, while the northern  
part forms a small semi-round balcony.  
The pulpit, minbar and balustrade of  
the choir are decorated with wooden  
ornaments painted in green, yellow,  
red and blue. All walls of the building  
have windows. The lower section of  
the minaret made of dry masonry are  
still found on its north-western side.  
The height of this structure is about  
2m. There is a fragment of an Arabic  
inscription on one stone. This mosque  
is one of the oldest jamat khans in the  
area.

**FUNCTION:** It is a functional jamat khana.





გულების  
ჯამე

**GULEBI**  
JAMAT KHANA



**პერიოდი:** XIX ს.

### მდებარეობა

გულების ჯამე მდებარეობს ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ გულებში ცენტრალური საავტომობილო გზის

**PERIOD:** XIX century

### LOCATION

The Gulebi jamat khana is located on the outskirts of Gulebi village in Keda Municipality, 3 km away from the turn

ბათუმი-ახალციხის მონაკვეთის, გულების გადასახვევიდან 3 კილომეტრის დაშორებით, სოფლის განაპირას.

### აღწერილობა

ძველი წარმოადგენს ორსართულიან, აჭარული სახლის ხუროთმოძღვრულ სახესხვაობას. შენობის სიგრძე 7.8 მეტრია, სიგანე 6.4 მეტრი, ხოლო სიმაღლე – 5 მეტრი. ჯამე დაშენებულია კარგად დამუშავებულ სწორკუთხა ქვის საძირკველზე. შენობა ოთხფერდაა და გადახურულია თუნუქის სახურავით. შენობის შესასვლელი კარი მასიური ხისგანაა დამზადებული და შიდა მხრიდან რკინის ორიგინალურ საკიდებზეა ჩამოკიდებული. შიდა ინტერიერი, ბოძები, მიჰრაბი, მიმბარი, ნიში მორთულია ქართული ხეზე კვეთის უნიკალური ჩუქურთმებითა და ორნამენტებით. ჯამეს პირველ სართულს აკრავს ღია აივანი.

**ფუნქცია:** საბჭოთა პერიოდში შენობა გამოიყენებოდა მინერალური სასუქების საწყობად, მოგვიანებით იქ გულების დაწყებითი სკოლა ფუნქციონირებდა. ამჟამად შენობა ავარიულ მდგომარეობაშია და არ ფუნქციონირებს.

to the Gulebi village from the Batumi-Akhalsikhe main motor road.

### DESCRIPTION

The building is a variation of a traditional Adjarian two-storey house. The length of the building is 7.8 m, the width is 6.4 m, and the height is 5 m. The jamat khana is based on a masonry foundation built out of rectangular stones. The building is covered with a four-sided tin roof. The entrance door is made of solid wood and is attached to extraordinary iron hinges. The interior of the mosque (i.e. columns, mihrab, minbar, nish) is decorated with exceptional Georgian wooden carvings and ornaments. The first floor is surrounded by an open balcony.

**FUNCTION:** During the Soviet times the building was used as a storehouse for mineral fertilizers. Later on it accommodated a Gulebi primary school. Currently, the jamat khana is in critical condition and is not functional.



დოლოგანის  
ჯამე

DOLOGANI  
JAMAT KHANA



**პერიოდი:** XIX ს.

### მდებარეობა

დოლოგანის ჯამე მდებარეობს ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ დოლოგანში, საფარიძეების უბანში.

### აღწერილობა

ხის ჯამეს გადასახურავად გამოყენებულია კრამიტი. ორსინათლიანი სამლოცველო გეგმით კვადრატს წარმოადგენს. მიჰრაბი, მიმბარი და კათედრა მოშლილია. თავდაპირველად ცენტრალური სივრცის ჭერი გუმბათიანი იყო. გუმბათი ამჟამად ჩამონგრეულია. ქოროდან შემორჩენილია ჩრდილოეთი ნაწილის სვეტები და იატაკის კოჭები. ჯამეს ყველა კედელი დანანევრებულია სარკმლებით. შესასვლელი ჩრდილოეთიდანაა. ჩრდილოეთიდანვე აკრავს ლოჯია, რომლის კედლები დაზიანებულია, საფეხურები აყრილია.

**ფუნქცია:** ავარიულ მდგომარეობაშია, არ ფუნქციონირებს.

**PERIOD:** XIX century

### LOCATION

The Dologani jamat khana is located on the Saparidzebi site in Dologani village in Keda Municipality.

### DESCRIPTION

The wooden jamat khana has a roof made out of ceramic tiles. It has a prayer room with two tiers of windows and has a rectangular floor plan. The mihrab, minbar and pulpit are destroyed. Initially, the hall had a domed ceiling, but now the dome is ruined. Only columns from the northern part of the choir and floor joists survived. All walls have windows and the entrance is at the northern wall. There is also a loggia with damaged walls and stairs.

**FUNCTION:** Currently, the jamat khana is in critical condition and is not functional.





ვარჯანისის  
ჯამა

**VARJANISI**  
JAMAT KHANA



**პერიოდი:** XIX ს.

### მდებარეობა

ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი  
ვარჯანისი

### აღწერილობა

ორსართულიანი ხის ჯამეს გადა-  
სახურავად გამოყენებულია კრამი-  
ტი. პირველი სართული ნახევარ-  
სარდაფია. მეორე სართულზე  
მოთავსებულია ორსინათლიანი სამ-  
ლოცველო დარბაზი.

ჯამე გეგმით კვადრატს წარმოად-  
გენს. შიდა სივრცის გადახურვა  
ბრტყელია. სვეტისთავები მოჩუქერ-  
თმებულია. ქოროზე ასასვლელი  
კიბე მოწყობილია ჩრდილო-და-  
სავლეთიდან. ჩრდილოეთით მოგრ-  
ძო აივანია, რომლისგანაც შემორ-  
ჩენილია მოაჯირის ნაწილი, სვეტები  
და იატაკი, ქოროს ფრიზულად მი-  
უყვება ხეში ნაკვეთი მცენარეული  
ორნამენტი. ჯამეს ყველა კედელი  
დანანევრებულია სარკმლებით.  
შესასვლელი ჩრდილოეთიდანაა,  
კარი მთლიანად ხეში ნაკვეთი  
ორნამენტებითაა მოჭედილი. ორნა-  
მენტები ჩაღრმავებაში დაფერილია  
ცისფერი საღებავით. კარის ჩარჩო  
თაღოვანია, თაღზე გადადის ნაწ-  
ნავისებური წნული.

**ფუნქცია:** ჯამე აღარ არსებობს, დან-  
გრეულია.

**PERIOD:** XIX century

### LOCATION

Varjanisi village in Keda Municipality.

### DESCRIPTION

The two-storey wooden jamat khana  
has a roof made out of ceramic tiles.  
The first floor of the building is a semi-  
basement and the second floor is a  
prayer room with two tiers of windows.  
The building has a square-shaped floor  
plan. The roof of the interior is flat.  
Tops of columns are decorated with  
ornaments. A stair to the choir is on its  
north-western side and the building  
has an oblong balcony northward.  
Only a small portion of the balustrade,  
columns and floor survived. The choir is  
decorated with floral friso and all walls  
have windows. The entrance was built  
into the northern wall and is covered  
with wooden carvings. Cuttings are  
colored in blue. The top of the arched  
frame of the door is decorated with a  
braid-like ornament.

**FUNCTION:** The jamat khana no longer  
exists; it is completely destroyed.



ზედა ბზუბზუს  
ჯამათი

UPPER BZUBZU  
JAMAT KHANA



**პერიოდი:** XIX ს.

### მდებარეობა

ჰამე მდებარეობს ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ბზუბზუში, ცენტრალური საავტომობილო გზიდან 3 კმ-ის დაშორებით სოფლის ცენტრში.

### აღწერილობა

ჰამე ორსართულიან ხის შენობას წარმოადგენს, გადახურულია თუნუქით, დაშენებულია სწორკუთხა ქვის საძირკველზე და წარმოადგენს აჭარული სახლის ხუროთმოძღვრულ სახესხვაობას. შენობის სიგრძე 9.5 მეტრია, სიგანე 8.6 მეტრია, ხოლო სიმაღლე 6.3 მეტრი შიდა ინტერიერი მორთულია ქართული ხეზე კვეთულობის უნიკალური ნიმუშებით: ჩუქურთმებითა და ორნამენტებით. ჰამეს პირველ სართულს აკრავს ღია აივანი.

**ფუნქცია:** საბჭოთა პერიოდში შენობა გამოიყენებოდა მინერალური სასუქების საწყობად, მოგვიანებით აქ განთავსდა სოფლის კლუბი და კინოდარბაზი. ამჟამად უფუნქციოა.

**PERIOD:** XIX century

### LOCATION

The jamat khana is located in the center of Bzubzu village in Keda Municipality, 3 km away from the main motor road.

### DESCRIPTION

The jamat khana is a tin-roofed two-storey wooden structure. It is built on a rectangular masonry foundation. From an architectural point of view, this building is a variation of a traditional Adjarian house. The length of the building is 9.5 m, the width is 8.5 m, and the height is 6.3 m. The interior is decorated with exceptional Georgian wooden carvings and ornaments. The first floor of the building is surrounded by an open balcony.

**FUNCTION:** In Soviet times the building was used as a storehouse for mineral fertilizers. Later on it accommodated a village club and cinema. Currently, the jamat khana is not functional.





ზვარე  
ჯამა

ZVARE  
JAMAT KHANA



**პერიოდი:** XIV სს.

### მდებარეობა

ჯამე მდებარეობს ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ზვარეში, ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის ზვარეს გადასახვევთან, სოფლის ცენტრში.

### აღწერილობა

ჯამე სამსართულიანი შენობაა, პირველი სართული აშენებულია კარგად გათლილი და დამუშავებული სწორკუთხა ქვებით კირის ხსნარზე. გამოიყენებოდა დამხმარე სათავსად, ხოლო შენობის მეორე და მესამე სართულები აშენებულია წაბლის მასალით და წარმოადგენს აჭარული სახლის ხუროთმოძღვრულ სახესხვაობას. მეჩეთის შიდა ინტერიერი, სვეტები მიჰრაბი, მიმბარი, ნიში მორთულია ქართული წესით ხეზე კვეთის უნიკალური ნიმუშებით: ჩუქურთმებითა და ორნამენტებით. ჯამეს სიგრძე 8.2 მეტრია, სიგანე 6.9 მეტრი, ხოლო სიმაღლე ჩრდილოეთ მხარეს 4.3 მეტრი, სამხრეთი 7 მეტრი.

**ფუნქცია:** საბჭოთა პერიოდში შენობას მინერალური სასუქების საწყობად იყენებდნენ, ხოლო მოგვიანებით – თამბაქოს მიმღებ პუნქტად. ამჟამად უფუნქციოა.

**PERIOD:** XIV century

### LOCATION

The jamat khana is located in the center of Zvare village in Keda Municipality near the turn to Zvare village from the Batumi-Akhaltzikhe motor road.

### DESCRIPTION

The jamat khana is a three-storey building. The first floor is built of rectangular stones with lime mortar and was used as an auxiliary premise. The second and third floors are built of chestnut lumber. From an architectural point of view, this building is a variation of a traditional Adjarian house. The interior of the mosque (i.e. columns, mihrab, minbar, nish) is decorated with exceptional Georgian wooden carvings and ornaments. The length of the building is 8.2 m, the width is 6.9 m and the height is 4.3 m (northern side) and 7 m (southern side).

**FUNCTION:** In Soviet times the building was used as a storehouse for mineral fertilizers. Later on it accommodated a tobacco collection point. Currently, the jamat khana is not functional.



კოკოტაურის  
ჯამა

KOKOTAURI  
JAMAT KHANA



**პერიოდი:** XIX ს.

### მდებარეობა

კოკოტაურის ჯამე მდებარეობს ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ კოკოტაურში, ცენტრალური საავტომობილო გზის ბათუმი-ახალციხის მონაკვეთის კოკოტაურის გადასახვევიდან 3,100 მეტრის დაშორებით, სოფლის ცენტრში.

**PERIOD:** XIX century

### LOCATION

The jamat khana is located in the center of Kokotauri village in Keda Municipality, 3,100 m away from the turn to Kokotauri village from the Batumi-Akhalsikhe motor road.

### აღწერილობა

ჯამე წამოადგენს სამსართულიან შენობას, პირველი სართული აშენებულია კარგად დამუშავებული სწორკუთხა ქვებით, ხოლო შენობის მეორე და მესამე სართულები აშენებულია წაბლის მასალით, საყრდენ მალეზად გამოყენებულია მუხა. ჯამეს აქვს ოთხფერდა გადახურვა და თუნუქის სახურავი. წარმოადგენს აჭარული სახლის ხუროთმოძღვრულ სახესხვაობას. პირველ სართულს ირგვლივ აკრავს ღია აივანი. მეჩეთის შიდა ინტერიერი მორთულია ქართული წესით ხეზე კვეთის უნიკალური ჩუქურთმებითა და ორნამენტებით. მეჩეთის სიგრძე 7.6 მეტრია, სიგანე 7 მეტრი, ხოლო სიმაღლე ჩრდილოეთ მხიდან 6.8 მეტრი, აღმოსავლეთიდან – 5 მეტრი.

**ფუნქცია:** საბჭოთა პერიოდში ჯამე გამოიყენებოდა მინერალური სასუქების საწყობად, მოგვიანებით კი – თამბაქოს მიმღებ პუნქტად. ჯამე კარგ მდგომარეობაშია, აქვს მინარეთი და ფუნქციონირებს.

### DESCRIPTION

The jamat khana is a three-storey building. The first floor is built of rectangular stones with lime mortar and was used as an auxiliary premise. The second and third floors are built of chestnut lumber. Oak lumber is used for supports. The building is covered by a four-sided tin roof. From an architectural point of view, this building is a variation of a traditional Adjarian house. The first floor is surrounded by an open balcony. The interior of the mosque is decorated with exceptional Georgian wooden carvings and ornaments. The length of the building is 7.6 m, the width is 7 m and the height is 6.8 m (northern side) and 5 m (eastern side).

**FUNCTION:** In Soviet times the building was used as a storehouse for mineral fertilizers. Later on it accommodated a tobacco collection point. Currently, the jamat khana is in good condition, has a minaret, and is functional.





დერეხოხნას  
ჯამა

DEREKHOKHNA  
JAMAT KHANA



**პერიოდი:** XIX ს.

**მდებარეობა**

ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი  
კოლოტაური (ძვ. დერეხოხნა)

**აღწერილობა**

ხის ორსართულიანი ჯამეს პირვე-  
ლი სართული სარდაფია. მეორე  
სართული ორსინათლიანი სამლოც-  
ველო დარბაზი. ზომები: 8.5 X 11.8  
მეტრი.

**PERIOD:** XIX century

**LOCATION**

Kolotauri village (formerly Derekhokhna  
village) in Keda Municipality

**DESCRIPTION**

The first floor of the two-storey wooden  
jamat khana is a cellar, and the second  
floor is a prayer room with two tiers of  
windows.

გადასახურავად გამოყენებულია  
კრამიტი. ჯამე აივნიანად გეგმით  
სწორკუთხაა, სამხრეთით თა-  
ლოვანი მიჰრავით. მიჰრავს ორი-  
ვე მხარეს დაბალი, ხის მერხები  
მიუყვება. მისგან აღმოსავლეთით  
მერხზე დამაგრებული კათედრაა,  
დასავლეთით - მიმბარია. მიჰრავის  
თავზე არაბული წარწერაა. ცენტრა-  
ლური სივრცის ჭერი მორთულია  
ხის მცენარეული აპლიკაციებით,  
რომლებიც დაფერილია წითელი,  
მწვანე და ნარინჯისფერი საღებ-  
ავებით. ქოროს ჭერი ბრტყელია.  
ქორო შემაგრებულია თორმეტ  
მრგვალ სვეტზე. მასზე ასასვლელი  
კიბე მოწყობილია ჩრდილო-აღმო-  
სავლეთიდან. ოთხივე მხრიდან  
სადა, რიკულებიანი მოაჯირი აკ-  
რავს, აქედან სამხრეთისა დეკორა-  
ციულ მორთულობას წარმოადგენს,  
ჩრდილოეთით კი დიდი ზომის,  
ნახევარწრიული აივანია გამოყო-  
ფილი. აივანი მორთულია ხის რომ-  
ბისებური ორნამენტებით. ჯამეს  
ყველა კედელი დანაწევრებულია  
სარკმლებით. შესასვლელი ჩრდი-  
ლოეთიდანაა, რვა ნახევარწრიული  
საფეხურით.

**ფუნქცია:** ღია აივნის მაგივრად  
ჩრდილოეთით მოწყობილია მაღა-  
ზია, დარბაზი კი საწყობადაა გამო-  
ყენებული.

The dimensions are 8.5 x 11.8 m. The  
roof is covered with ceramic tiles. The  
jamat khana has a rectangular floor plan  
and a balcony. On the south there is an  
arched mihrab with an Arabic inscription  
on its top and wooden desks. Eastward  
of the mihrab, there is a desk with an  
attached pulpit, and westward there is  
a minbar. The ceiling of the central hall  
is decorated with floral appliques in red,  
green and orange. The ceiling of a choir  
supported by twelve round columns is  
flat. Stairs to the choir are attached from  
the north-east. The choir is surrounded  
by a plain balustrade. Its southern part  
has a decorative function, while the  
northern part forms a large semi-round  
balcony. The balcony is decorated with  
wooden diamond-shaped ornaments.  
All walls of the building have windows.  
The entrance with eight semi-round  
steps is built into the northern wall of  
the building.

**FUNCTION:** The open balcony is used as  
a space for a shop and the hall is used as  
a storehouse.



**პერიოდი:** XIX ს.

### მდებარეობა

ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი მელისი.

### აღწერილობა

ხის შენობა გეგმით კვადრატს წარმოადგენს და შედგმულია ქვების სწორხაზოვან წყობაზე. მედრესეს ჩრდილო-აღმოსავლეთიდან ღია აივანი აქვს. შესასვლელი აღმოსავლეთ კედელშია გაჭრილი. დარბაზში მხოლოდ სვეტებია შემორჩენილი.

**ფუნქცია:** უფუნქციოა.

**PERIOD:** XIX century

### LOCATION

Melisi village in Keda Municipality

### DESCRIPTION

The wooden structure is built on a rectangular masonry foundation. The medrese has an open balcony on its North-Eastern wall. The entrance is built into the eastern wall. Only columns survived in the hall.

**FUNCTION:** Non-functional

მ ე რ ის ი ს  
მ ე დ რ ე ს ე

MERISI  
MEDRESE







უჩხიტის  
ჯამე

UCHKHITI  
JAMAT KHANA



**პერიოდი:** XIX ს.

### მდებარეობა

ჯამე მდებარეობს ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ უჩხიტის სოფლის ცენტრში.

### აღწერილობა

მეჩეთის პირველი შენობა 1914 წელს რუსეთ-თურქეთის ჯარების შეტაკების დროს დაშლას განიცადა და მოგვიანებით აღუდგენიათ. ჯამე ადგილობრივი ლაზი ოსტატის – ქიქავა ბასილაძის – მიერაა აგებული. მეჩეთი წარმოადგენს ქვის საძირკველზე შემოდგმულ ხის შენობას, მისი ზომებია: სიგრძე – 9.4 მეტრი, სიგანე – 9 მეტრი, სიმაღლე – 4.7 მეტრი აღდგენის შემდეგ მეჩეთს ჩაუტარდა რემონტი.

**ფუნქცია:** საბჭოთა პერიოდში შენობა სანაოსნოდ გამოიყენებოდა. დღეს კარგ მდგომარეობაშია და ფუნქციონირებს.

**PERIOD:** XIX century

### LOCATION

The jamat khana is located in the center of Uchkhiti village in Keda Municipality.

### DESCRIPTION

The first building of the mosque was burned down during the military actions by Russian and Turkish troops in 1914 and was later reconstructed by local Laz craftsman, Kikava Basiladze. The jamat khana is a wooden structure built on a masonry foundation. Its dimensions are as follows: length – 9.4 m, width – 9 m, height – 4.7 m. After reconstruction the mosque was renovated.

**FUNCTION:** In Soviet times the building was used as a storehouse. Currently, the jamat khana is in good condition, and is functional.



ქვემო  
მახუნსეთის  
ჯამე

LOWER  
MAKHUNTSETI  
JAMAT KHANA



**პერიოდი:** XIX ს.

### მდებარეობა

ჯამე მდებარეობს ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა მახუნსეთის ცენტრში, ცენტრალური საავტომობილო გზიდან 1 კმ-ის დაშორებით.

### აღწერილობა

ჯამე აშენებულია მე-19 საუკუნის ბოლოს და წარმოადგენს ორსართულიან, ნაბლის ხის მასალებით აშენებულ, აჭარული სახლის ხუროთმოძღვრულ სახესხვაობას. შენობა დაშენებულია ქვის კარგად დამუშავებულ საძირკველზე. შენობის სიგრძე 7.4 მეტრია, სიგანე – 6 მეტრი, ხოლო სიმაღლე – 5,5 მეტრი. ოთხფერდა გადახურვით, გადახურულია თუნუქით. შენობის შიდა ინტერიერში შესასვლელი კარი მასიური ხისგანაა დამზადებული და მოჩუქურთმებულია. კარი შიდა მხრიდან დამაგრებულია რკინის ორიგინალურ საკიდებზე. მეჩეთის პირველ სართულს გარშემო აკრავს ღია აივანი. სვეტები, მიჰრაბი, მიმბარი და ნიში შემკულია ქართული წესით ხეზე კვეთის უნიკალური ჩუქურთმებითა და ორნამენტებით.

**ფუნქცია:** ამჟამად კარგ მდგომარეობაშია და ფუნქციონირებს.

**PERIOD:** XIX century

### LOCATION

The jamat khana is located in the center of Makhuntseti village in Keda Municipality, 1 km away from the main motor road.

### DESCRIPTION

The jamat khana was built at the end of the 19th century. It is a two-story structure built of chestnut lumber on a masonry foundation. From an architectural point of view, this building is a variation of a traditional Adjarian house. The length of the building is 7.4 m, the width is 6 m, and the height is 5.5 m. The building is covered by a four-sided tin roof. The entrance door is made of solid wood and is decorated with ornaments. The door is attached to extraordinary iron hinges.

The first floor is surrounded by an open balcony. The interior of the mosque (i.e. columns, mihrab, minbar, nish) is decorated with exceptional Georgian wooden carvings and ornaments.

**FUNCTION:** Currently the jamat khana is in good condition, and is functional.





**პერიოდი:** 1891-1892 წწ.

### მდებარეობა

მეჩეთი მდებარეობს ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხმორისში, სასაფლაოს ტერიტორიაზე, მას ჯამიკარსაც უწოდებენ.

### აღწერილობა

მეჩეთი წარმოადგენს ქვის საძირკველზე შემოდგმულ ხის შენობას, მისი ზომებია: სიგრძე – 9 მეტრი, სიგანე – 8 მეტრი, სიმაღლე – 5 მეტრი. შენობის შიდა ინტერიერში შესასვლელი კარი მასიური ხისგანაა დამზადებული და მოჩუქურთმებულია. ცენტრალური სივრცის ჭერი მორთულია ხის მცენარეული აპლიკაციებით, რომლებიც დაფერილია წითელი, მწვანე და ნარინჯისფერი საღებავებით.

**ფუნქცია:** საბჭოთა პერიოდში შენობა საწყობად გამოიყენებოდა. ამჟამად კარგ მდგომარეობაშია და ფუნქციონირებს.

**PERIOD:** 1891-1892

### LOCATION

The mosque is located in Tskhmirisi village in Keda Municipality, in the territory of a cemetery. It is also called “Jamikari.”

### DESCRIPTION

The mosque is a wooden structure built on a masonry foundation. Dimensions: length – 9 m, width – 8 m, height – 5 m. The entrance door is made of solid wood and decorated with ornaments. The ceiling of the central hall is decorated with floral appliques in red, green and orange.

**FUNCTION:** In Soviet times the building was used as a storehouse. Currently, the jamat khana is in good condition, and is functional.



## ძენტმანის ჯამა DZENTSMANI JAMAT KHANA



**პერიოდი:** XIX ს.

### მდებარეობა

მეჩეთი მდებარეობს ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ძენტმანში, ცენტრალური საავტომობილო გზის ბათუმი-ახალციხის მონაკვეთის ძენტმანის გადასახვევიდან 2,1 მეტრის დაშორებით, სოფლის ცენტრში.

### აღწერილობა

ჯამე აშენებულია მე-19 საუკუნის ბოლოს და წარმოადგენს ორსართულიან, ქვის საძირკველზე დაშენებულ აჭარული ფიცრული სახლის ხუროთმოძღვრულ სახესხვაობას, ოთხფერდა გადახურვით, აქვს თუნუქის სახურავი. შესასვლელი კარი მოჩუქურთმებულია და მასიური ხისგანაა დამზადებული, დამაგრებულია რკინის ორიგინალურ საკიდებზე. მეჩეთის პირველ სართულს აკრავს ღია აივანი. შიდა ინტერიერი შემკულია ქართული წესით ხეზე კვეთის უნიკალური ჩუქურთმებითა და ორნამენტებით.

**ფუნქცია:** საბჭოთა პერიოდში გამოიყენებოდა საწყობად. მეჩეთი ამჟამად ავარიულ მდგომარეობაშია და არ ფუნქციონირებს.

**PERIOD:** XIX century

### LOCATION

The mosque is located in the center of Dzentsmani village in Keda Municipality, 2,1 m away from the turn to Dzentsmani village from the Batumi-Akhalsikhe motor road.

### DESCRIPTION

The jamat khana, constructed at the end of the 19<sup>th</sup> century, is a two-storey wooden structure. From an architectural point of view, this building is a variation of a traditional Adjarian house. The building is covered with a four-sided tin roof. The entrance door is made of solid wood and decorated with ornaments. The door is attached to extraordinary iron hinges. The first floor is surrounded by an open balcony. The interior is decorated with exceptional Georgian wooden carvings and ornaments.

**FUNCTION:** In Soviet times the building was used as a storehouse. Currently, jamat khana is in critical condition and is non-functional.



ჭინკაძეების  
ჯამა

CHINKADZEEBI  
JAMAT KHANA



**პერიოდი:** XIX ს.

### მდებარეობა

ჭინკაძეების ჯამე მდებარეობს ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭინკაძეების ცენტრში, ბათუმი-ხულოს ცენტრალური საავტომობილო გზიდან 2 კმ-ის დაშორებით.

**PERIOD:** XIX century

### LOCATION

The jamat khana is located in the center of Chinkadzebi village in Keda Municipality, 2 km away from the Batumi-Khulo main motor road.

### აღწერილობა

ჯამე სამსართულიანი შენობაა ოთხფერდა გადახურვით, გადახურულია კრამიტით და დაშენებულია კარგად გათლილი, სწორკუთხოვანი ქვის საძირკველზე. პირველი სართული ქვისაა, ხოლო მეორე და მესამე სართულები ნაბლის ხით აშენებული შენობაა და წარმოადგენს ქართული ტრადიციული სახლშენებლობის ნიმუშს, ინტერიერში არსებული არაჩვეულებრივი ორნამენტებითა და ჩუქურთმებით. მეჩეთის პარამეტრებია: სიგრძე – 9,7 მეტრი, სიგანე – 6,8 მეტრი და სიმაღლე – 6,5 მეტრი. განსხვავება სხვა მეჩეთებისაგან ისაა, რომ მეჩეთს პირვანდელი სახით შენარჩუნებული აქვს მინარეთი და აქვს ბუხარი, რაც იშვიათობას წარმოადგენს.

**ფუნქცია:** გასული საუკუნის 30-იან წლებში მეჩეთმა, ისევე, როგორც სხვა აღმსარებლობის საკულტო ნაგებობებმა, შეწყვიტა ფუნქციონირება რის შედეგადაც ის გამოიყენებოდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით; კერძოდ, დაფნის ფოთლის საშრობად. მეჩეთი ამჟამად კარგ მდგომარეობაშია და ფუნქციონირებს.

### DESCRIPTION

The jamat khana is a three-storey structure. It is based on a masonry foundation built of rectangular stones. The four-sided roof of the building is covered with ceramic tiles. The first floor of the jamat khana is built of stones, while the second and third floors are built of chestnut lumber. From an architectural point of view, this building is a variation of a traditional Georgian house with an interior decorated with carvings and ornaments. Dimensions: length – 9.7 m, width – 6.8 m and height 6.5 m. This jamat khana is distinguished from other similar existing structures by a well-preserved minaret, and an uncommon fireplace.

**FUNCTION:** In Soviet times, the jamat khana, like other religious institutions, stopped functioning and was used for agricultural purposes, namely as a space for drying laurel leaves. Currently, the mosque is in good condition and is functional.

საფორტიფიკაციო  
განგებობები

FORTIFICATIONS,  
TOWERS





## კოლოტაურის კოშკი KOLOTAURI TOWER



**პერიოდი:** შუა საუკუნეები.

### მდებარეობა

კოშკი მდებარეობს ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ კოლოტაურში, სოფლის ბოლოს, ამაღლებულ გორაზე, ცენტრალური, ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზის პირველი მაისის გადასახვევიდან 1,4 მეტრის დაშორებით.

### აღწერილობა

კოშკი, სავარაუდოდ, აგებულია განვითარებულ შუა საუკუნეებში და ჩართული იყო აჭარის ტერიტორიაზე გამავალი საქარავნე გზების გაკონტროლებაში. კოშკი გაჰყურებს ცივასულას ციხეს. ამჟამად კოშკისგან კედლების ნანგრევები-ღაა დარჩენილი – ჩრდილოეთის კედელი სიგრძით 7 მეტრი და სამხრეთის კედელი სიგრძით 4 მეტრი, კედლების სისქე 60 სმ. კოშკი, სავარაუდოდ, ოვალური ფორმის უნდა ყოფილიყო. კედლები აშენებულია ფლეთილი ქვებით კირის ხსნარზე. კოშკიდან 300 მეტრის დაშორებით მდებარეობს ბუნებრივი ნეოლითური ხანის კოლოტაურის გამოქვაბული.

**ფუნქცია:** უფუნქციო.

**PERIOD:** High Middle Ages

### LOCATION

The tower is located on the hill in the outskirts of Kolotauri village in Keda Municipality, 1,4 m away from the turn to Pirveli Maisi village from the Batumi-Akhalsikhe main motor road.

### DESCRIPTION

Presumably, the tower was built during the high Middle Ages and was a part of a control system of caravan tracks running through the territory of Adjara. The tower faces the Tsivasula castle. Currently, only fragments of the tower can be found: a 7 m high norther wall and a 4 m high southern wall. The walls are 60 cm thick. Supposedly, the tower was an oval-shaped structure built of ragged stones and lime mortar. Kolotauri natural cave of the Neolithic Age is located 300 m away from the tower.

**FUNCTION:** Non-functional



## გეგელიძეების კოშკი GEGELIDZEEBI TOWER



**პერიოდი:** XI-XIII სს.

### მდებარეობა

კოშკი მდებარეობს ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ გეგელიძეებში, ბარისუბანში, ბერიძეების დასახლებაში, ამაღლებულ ბორცვზე. ცენტრალური მაგისტრალური გზიდან 2 კმ-ის დაშორებით.

**PERIOD:** XI-XIII centuries

### LOCATION

The tower is located on the hillock in the Beridzeebi settlement of Gegelidzeebi village in Keda Municipality, 2 km away from the main motor road.

### აღწერილობა

ამჟამად კოშკისგან ჩრდილოეთის კედლის ნანგრევებიღაა დარჩენილი, სიგრძე – 4 მეტრი, სიმაღლე 60 სმ და სიგანე 60 სმ. იქვე ახლოს, კოშკთან მისასვლელთან აღინიშნება ორი სხვადასხვა დანიშნულების ნაგებობა. ადგილობრივების გადმოცემით, ერთი საკინიბო ყოფილა, ხოლო მეორის დანიშნულება უცნობია. ლეგენდის თანახმად, ერთხელ აქ მტრის მოზრდილმა რაზმმა ჩაიარა, თუმცა, როგორც კი კოშკს მიუახლოვდნენ, ირგვლივ ნისლი ჩამოწვა და მხოლოდ მაშინ გაიფანტა, როდესაც მტერი კოშკში მყოფთათვის უსაფრთხო მანძილზე აღმოჩნდა. ადგილობრივებს მიაჩნდათ, რომ კოშკს მაგიური ძალა ჰქონდა.

**ფუნქცია:** წარსულში ეს კოშკი ხეობის სასიგნალო სისტემის ნაწილი იყო. მის სიახლოვეს აღმოჩენილია გუმაგთა საცხოვრებელი ადგილების ნანგრევები. კოშკი XI-XIII საუკუნეებში აქტიურად იყო ჩართული აჭარისწყლის ხეობაში გამავალი სავაჭრო-საქარავნო გზების გაკონტროლებაში, დასავლეთის მხარეს ის გაჰყურებს გულების ციხეს, ხოლო აღმოსავლეთით – კავიანის ციხეს. ამჟამად უფუნქციოა.

### DESCRIPTION

Only 4 m long, 60 cm high and 60 cm thick ruins of the northern wall of the tower survived. There are also two different structures near the tower. According to the locals, one of the buildings was a stable, and the function of the second one is unknown. A legend says that once when a troop of enemies approached the tower, heavy fog surrounded the tower and swept away only after the enemies had moved far enough from the tower. The locals considered that the tower had a magic force.

**FUNCTION:** The tower was a part of an alarm system of the gorge. Ruins of housing of watchmen have been discovered near the tower. In the XI-XIII centuries the tower was included in the control system of caravan tracks and trade roads running through the territory of Adjara. The tower is oriented at the Gulebi fortress to the west and the Kaviani fortress to the east. Currently the tower is not functional.





## ცივასულას კოშკი

## TSIVASULA FORTRESS



**პერიოდი:** XVI-XVII სს.

### მდებარეობა

ცივასულას ციხე მდებარეობს ქედის მუნიციპალიტეტის პირველი მაისის საკრებულოში, აგარის ლელესა და აჭარისწყლის შესაყარში.

### აღწერილობა

იმ ადგილს, სადაც ეს ციხეა აშენებული, „ცივასულა“ ჰქვია და ციხის სახელწოდებაც ამას უკავშირდება. ციხეს ერთადერთი მისასვლელი აქვს (ჩრდილო-დასავლეთიდან), რომელიც ვიწრო საცალფეხო ბილიკის წარმოადგენს.

**PERIOD:** XVI-XVII centuries

### LOCATION

The Tsivasula fortress is located in the Pirveli Maisi community in Keda Municipality at the junction of the rivers Gele and Adjaristskali.

### DESCRIPTION

The locality, where this fortress is located is called "Tsivasula" and the fortress most likely takes its name from this toponym. The fortress has only access is a narrow path from the north-west. The fortress dates back to the XVI-XVII

ცივასულას ციხე შეიძლება თურქთა მოძალების ხანას, ანუ XVI-XVII საუკუნეებს, მივაკუთვნოთ. ციხის ფართობია 400 მ². კოშკი წარმოადგენს ოვალური ფორმის ნაგებობას, რომლის დიდი დიამეტრი 3.18 მეტრია, ხოლო მცირე – 2.6 მეტრი. შემორჩენილია ციხის ჩრდილოეთი და სამხრეთი კედლები, ნაწილობრივ – აღმოსავლეთი კედლის ზემო ნაწილი. შიგნიდან კოშკის სიმაღლეა 4.5 მეტრი, ხოლო გარედან – 6.5 მეტრი, კედლის სისქე – 0.6 მეტრი ჩრდილოეთ კედელში დატანებულია ორი ფოსო (30 სმ X 5 სმ და 20 სმ X 16 სმ). კოშკის სამხრეთ კედელში შემორჩენილია სათოფურები, რომელთა ზომებია 0.10 სმ X 0.25 სმ, სათოფურის დაშორება მიწიდან – 0.70 მეტრი. კოშკის ქვემო ნაწილში ყოფილა ქვევრი, რომლის დიამეტრია 1.15 მეტრი. ჩრდილო და სამხრეთ ნაწილში შემორჩენილი აქვს გალავნის ნაშთი. ციხე ნაგებია ქვითკირით, ქვები ფლეთილია (23 სმ X 17 სმ), წყობა უსწორმასწორო, რაც ციხის გვიანდელობაზე მიუთითებს.

**ფუნქცია:** ციხის ძირითადი ფუნქცია აჭარისწყლის ხეობასა და აგარისწყალზე გამავალი გზების გაკონტროლება იყო. ამჟამად უფუნქციოა.

centuries, a period of Turkish invasion. The area of the fortress is 400 m². This is an oval-shaped structure, where the large diameter equals 3.18 m, and the small diameter is 2.6 m. Only the northern and southern walls and partially the upper part of the eastern wall survived. The inside height of the fortress is 4.5 m, and the outside height is 6.5 m. The walls are 0.6 m thick. There are two holes (30 cm X 5 cm and 20 cm X 16 cm) in the northern wall. Portholes (0.1 cm X 0.25 cm) are on the southern wall at a height of 0.7 m above the ground. There was a wine jar (kvevri) in the lower part of the tower, the diameter of which is 1.15m. The ruins of a stone wall are found northward and southward of the tower. The fortress is built of ragged stones (23 cm X 17 cm) with the use of lime mortar. Irregularly laid masonry indicates the period of construction of the fortress.

**FUNCTION:** The fortress was a part of the control system of caravan tracks and trade roads running through the territory of Adjara. Currently the fortress is not functional.



ზ ე დ ა  
მახუნსეთის  
კოშკი

U P P E R  
MAKHUNTSETI  
FORTRESS



**პერიოდი:** შუა საუკუნეები.

### მდებარეობა

ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი  
ზედა მახუნცეთი, სოფლიდან ჩრდი-  
ლოეთით 2 კმ-ის დაშორებით.

### აღწერილობა

მაღალი კლდის მასივზე შემორჩე-  
ნილია კოშკის ნანგრევები. ნაგებია  
ცუდად დამუშავებული, საშუალო  
ზომის ქვით. გეგმით ოვალურია,  
ჩრდილო-აღმოსავლეთით შემორ-  
ჩენილია გრძივი კედელი.

**ფუნქცია:** წარსულში – საფორტი-  
ფიკაციო ნაგებობა, ამჟამად უფუნ-  
ქციოა.

**PERIOD:** Middle Ages

### LOCATION

2 km North from Upper Makhuntseti vi-  
llage in Keda Municipality.

### DESCRIPTION

Ruins of the fortress are located on a  
high cliff. The fortress is built of irregular,  
medium - sized stones. It is oval-shaped.  
Ruins of the wall are found north-  
eastward of the fortress.

**FUNCTION:** Non-functional





## ზენდიდის ციხე ZENDDI FORTRESS



**პერიოდი:** XVI-XVII სს.

### მდებარეობა

ქედის მუნიციპალიტეტი, სოფელი ზენდიდი, ბათუმი-ხულოს გზატკეცილიდან 2,150 მეტრის სიმაღლეზე.

### აღწერილობა

ციხე მაღალ გორაზეა აშენებული და მოიცავს 600 მ<sup>2</sup> ფართობს. ძეგლმა ჩვენამდე მოაღწია დანგრეული სახით. კედელი ეზოს მხრიდან სხვადასხვა სიმაღლეზეა შემორჩენილი.

მჭიდრო ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობებისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა აჭარისწყლისა

**PERIOD:** XVI-XVII centuries

### LOCATION

Zandidi village in Keda Municipality, 2,150 m above the Batumi-Khulo main motor road.

### DESCRIPTION

The fortress, occupying 600 m<sup>2</sup>, is built on a high hill. The monument is severely damaged. Its north-eastern wall is no longer linear.

The Adjaristskali and Chorokhi river basins, where the Batumi-Artanuji main trade road had been laid in VIII-IX centuries, played an important role in

და ჭოროხის აუზებს, სადაც VIII-IX საუკუნეებში ბათუმ-არტანუჯის სავაჭრო-ეკონომიკური კავშირის მთავარი გზა გადიოდა. არსებობდა აგრეთვე ძველი გზები, რომლებითაც მექარავენები ბათუმის გვერდის ავლით აჭარის ქედზე გადადიოდნენ და პირდაპირ ქედაში ჩამოდიოდნენ. ერთ-ერთი ასეთი გზა ხინო-გერაბოსელ-წონიარისით ქობულეთიდან ქედაში ჩადიოდა. აქედან კი გზა ოთხივე მიმართულებით ხსნილი იყო როგორც მერისის, ისე გოდერძის უღელტეხილებისა და ქვემო აჭარისაკენ. როგორც ვახუშტი ბაგრატიონი ამბობს, “მცირე ქალაქის მსგავსად დაბა ქედაში” ცხოვრობდა აჭარის ბეგი. გამომდინარე აქედან, ქედას და ხეობაში გამავალ ცენტრალური სავაჭრო-სტრატეგიულ გზებს სათანადო დაცვა ესაჭიროებოდა. ზენდიდის ციხე ძლიერ დაცული და უსაფრთხო იყო. 1575-1576 წწ. სპარსეთის შაჰის – შაჰ თამაზის – შემოსევის დროს დედისიმედსა და ყვარყვარეს ზენდიდის ციხეში შეუფარებიათ თავი და აქედან ახდენდნენ ლაშქრის ორგანიზებას. მათთვის დიდი დახმარება გაუწევიათ ზენდიდის მებატონე თავადებს, რომლებიც მე-12 საუკუნეში თამარ მეფისგან დაჯილდოებულ იქნენ გვარიშვილობით და ნიშნად ამისა გადაეცათ აჭარა ზენდიდის ციხითურთ.

**ფუნქცია:** უფუნქციო.


economic and trade relations. There were also old roads, bypassing Batumi and coming directly to Keda through the Adjara range. One of such roads from Kobuleti to Keda was laid through Khino, Zeraboseli and Tsioniarisi. From this point, travelers could have taken any path to Merisi Pass, to Goderdzi Pass or to Lower Adjara. At that time, the Adjarian Baig lived “in a small town of Keda, as Vakhushti Bagration says. Therefore, Keda and main trade roads passing through the gorge needed protection which was ensured by the Zendidi fortress. The Zendid fortress was well-protected and safe. During the invasion of the Persian Shahenshah Tamaz in 1575-1576, Dedisimedi and Kvarkvare were commanding troops from this fortress. They were supported by the local feudals who were granted a title and land in Adjara with the Zendidi fortress by the King Tamar in the 12<sup>th</sup> century.

**FUNCTION:** Non-functional





## **ზესოფელის ციხე** **ZESOPELI FORTRESS**



**პერიოდი:** შუა საუკუნეები.

### **მდებარეობა**

ქედის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზესოფელი, სოფლის სამხრეთ-დასავლეთით 3 კმ-ის დაშორებით, მაღალ მთაზე.

### **აღწერილობა**

პიტალო კლდის თავზე დგას ოთხკუთხა კოშკი. კოშკი ნაგებია ფლეთილი ქვით კირის დუღაბზე. ზომები: 5.2 X 5 მეტრი. კოშკს არქიტრაველი შესასვლელი აღმოსავლეთიდან აქვს. სამხრეთის კედელში ერთ პორიზონტალურ ხაზზე ორი სათოფურია გაჭრილი. მათ თავზე შუაში ასევე ერთი სათოფურია. ჩრდილო და დასავლეთ კედლებში ორი ოთხკუთხა ნიშია.

**ფუნქცია:** საფორტიფიკაციო ნაგებობა, ამჟამად უფუნქციო.

**PERIOD:** Middle Ages

### **LOCATION**

The fortress is built on a high mountain located 3 km south-west of Zesopeli village in Keda Municipality.

### **DESCRIPTION**

A rectangular tower built on the high cliff. The tower is built of ragged stones with the use of lime mortar. The dimensions are 5.2 m x 5 m. The tower has an architrave entrance on its eastern wall. There are two parallel potholes in the southern wall. One pothole is cut above these two potholes. Two rectangular niches are observed on the northern and western walls.

**FUNCTION:** Non-functional



## სალორეთის ციხე SAGORETI FORTRESS



**პერიოდი:** XIV-XV სს.

### მდებარეობა

სალორეთის ციხე აშენებულია ქობთვარის მიუვალ მაღალ სერზე, რომელიც თავზე დაჰყურებს სოფელ პირველ მაისს, ცენტრალური გზატკეცილიდან 3.5 კმ-ის დაშორებით.

### აღწერილობა

ციხე გადაჰყურებს აჭარისწყლის

**PERIOD:** XIV-XV centuries

### LOCATION

The Sagoreti fortress is built on an inaccessible high hill Kotkhvati overlooking Pirveli Maisi village, 3.5 km away from the main motor road.

### DESCRIPTION

The fortress is overlooking the

ხეობას და როგორც ჩანს აკონტროლებდა აქ გამავალ გზებს. ციხის კედლები საკმაოდ დაზიანებულია. მისი ფართობია 200 მ². დღესდღეობით ამ ციხისგან შემორჩენილია მისი კოშკი, გალავნის კედლის ერთი ნაწილი და კოშკის მინაშენი კედლის ნაწილი. კოშკი ოვალური ფორმისაა და მისი ფართობია 6 მ². დასავლეთ ნაწილში შემონახულია სამი ფოსო - მათი არსებობა სართულების არსებობაზე მიუთითებს. ეს კოშკი გალავანშია ჩაქსოვილი. გალავანს ოვალისებური ფორმა აქვს. შედარებით უკეთესადაა შემონახული გალავნის ჩრდილოეთი ნაწილი, რომელიც კოშკზეა მიშენებული. ციხეზე მისვლა ამ მხრიდან შეუძლებელია, რასაც გარედან დატანებული საფეხურებიც ადასტურებს. კოშკზე ჩრდილოეთის მხრიდან მიშენებულია მცირე ზომის კედელი. ამ კედელს გალავანთან არაფერი აქვს საერთო და შეიძლება უფრო გვიანდელად ჩითვალოს. ციხე ნაგებია ფლეთილი ქვით კირის ხსნარზე, წყობა არეულია, უსწორმასწორო. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ არც გალავანში, არც კოშკში სათოფური არ ჩანს. ამ გარემოების გათვალისწინებით (უსწორმასწორო წყობა, სათოფურების არარსებობა), ციხე შეიძლება XIV-XV საუკუნეებით დათარიღდეს. ციხე არქეოლოგიურად შეუსწავლელია.

**ფუნქცია:** საფორტიფიკაციო ნაგებობა, ამჟამად უფუნქციო.

Adjaristskali river gorge and presumably was part of a control system of roads running through this area. The walls of the fortress are seriously damaged. Its area is 200 m². Only the tower, a small portion of its accessory wall and a section of a protecting wall survived. The tower is oval-shaped and its area is 6m². The three holes in the western part indicates the presence of floors. The tower is integrated into the oval-shaped protecting wall. The norther part of the protecting wall that is attached to the tower is better preserved. The fortress could be approached from this side too which is evidence by the presence of stairs. A small wall is attached to the tower on the north. This wall is not connected with the protecting wall and probably was constructed later. The fortress is built of irregular ragged stones with the use of lime mortar. It shall be noted that there are portholes neither in the protecting wall, not in the tower. Due to this (irregular laid masonry, no portholes) the fortress can be dated to XIV-XV centuries. No archeological studies have been carried at the fortress so far.

**FUNCTION:** Non-functional





## ზვარე კოშკი ZVARE TOWER



**პერიოდი:** XI-XII სს.

### მდებარეობა

ქედის მუნიციპალიტეტის სოფელი ზვარე, დაბა ქედის ცენტრიდან 5კმ-ის დაშორებით, ცენტრალურ საავტომობილო გზაზე.

### აღწერილობა

კოშკის ფართობი 50-55 კვადრატული მეტრია. სიგრძე-10.5 მეტრი, სიგანე - 5.5 მეტრი, კედლების სისქე - 110 სმ. იგი ნაშენია საშუალო ზომის ადგილობრივი ქვით და დაწყობილია დუღაბის ფენაზე. შემორჩენილია ციხის სამხრეთ-დასავლეთი, ჩრდილო-აღმოსავლეთი

**PERIOD:** XI-XII centuries

### LOCATION

Zvare village in Keda Municipality, 5 km away from the municipal center, at the main motor road.

### DESCRIPTION

The area of the tower is 50-55 m2, the length - 10.5 m, the width - 5.5 m, the thickness of its walls - 110 cm. It is built of medium sized local stones with the use of lime mortar. Up to 2.2-2.5 m high ruins of south-west, north-west and north sections of the protecting

და ჩრდილოეთის კედლის ნაშთები. მათი სიმაღლე ზოგან 2.2 - 2.5 მეტრია. ჩრდილო-აღმოსავლეთ კედლის სიმაღლე 3-4 მეტრს აღწევს. ციხის რთული რელიეფის გამო მისი წყლით უზრუნველყოფა ძნელი იყო. ამიტომაც აქაურ მკვიდრთ და ციხის მშენებელთ სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში აუგიათ გვირაბი. გაწმენდის შემდეგ გაირკვა, რომ იგი, მსგავსად ციხისა, ნაგებია ადგილობრივი მოსწორებულზედაპირიანი ქვით. გვირაბის შემორჩენილი ნაწილის სიმაღლე 16 მეტრია, ხოლო დიამეტრი - 100-110 სმ. არქეოლოგიური გათხრებისას ციხის ტერიტორიაზე აღმოჩნდა 4 ქვევრი, ერთიც, დაუზიანებელი, ეკლესიის საძირკვლის ამოთხრისას აღმოჩნდა. აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალებს შორის წამყვანი ადგილი ჯამის ნატეხების სახით წარმოდგენილ კერამილულ მასალას უკავია, რომელიც ორ ჯგუფად იყოფა: მოჭიქული და მოუჭიქავი. სწორედ მოჭიქული კერამიკის ნატეხების მიხედვით ხდება შესაძლებელი ძეგლებისა და სხვა სახის არქეოლოგიური მასალების დათარიღება.

**ფუნქცია:** 2001 წელს მამა სერაფიმეს ინიციატივითა და სოფლის მოსახლეობის მხარდაჭერით დაიწყო ეკლესიის მშენებლობა. ეკლესია ბაზილიკურია და ფუნქციონირებს 2003 წლიდან.

wall survived. The height of the north-eastern wall reaches 3-4 m. To provide the fortress located on rugged terrain with water, a tunnel was constructed at its south-western section. Like the fortress, the tunnel was built of local stones with flat surfaces. The height of the survived section of the tunnel is 16 m, the diameter - 100-110 cm. 4 wine jars (kvevri) were unearthed as a result of archaeological excavation, one undamaged jar was found beneath the foundation of the church. Mainly pottery composed of fragments of glazed and unglazed cookware have been found. Fragments of glazed pottery establish the age of monuments and other archaeological materials.

**FUNCTION:** In 2001, Father Seraphim, with the support of local residents, initiated the construction of a basilica. The church has been functional since 2003.



A large orange circle is positioned on the right side of a solid yellow background. Inside the circle, the text 'საწახედი' and 'WINEPRESSES' is written in white.

**საწახედი**  
WINEPRESSES



კოკოტაურის  
საწნახელი

KOKOTAURI  
WINEPRESS



**პერიოდი:** გვიანი შუა საუკუნეები

### მდებარეობა

კოკოტაურის საწნახელი მდებარეობს ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ კოკოტაურში, ცენტრალური, ბათუმი-ახალციხის საავტომობილო გზიდან 250 მეტრის დაშორებით.

### აღწერილობა

საწნახელი აშენებულია სხვადასხვა ზომის კარგად დამუშავებული ქვებით კირის ხსნარზე, აღმოსავლეთის კედელი ჩამოქცეულია. საწნახელის სიგრძე 5.4 მეტრია, სიგანე – 2 მეტრი, სიმაღლე – 1.2 მეტრი. რამდენიმე წლის წინ ადგილობრივ მცხოვრებს საწნახელის მიმდებარე ტერიტორიიდან ამოუღია მიწაში ჩამარხული 1 ტონა ტევადობის ქვევრი და განუთავსებია საკუთარ ეზოში. ქვევრი მოკირული ყოფილა.

**ფუნქცია:** ამჟამად უფუნქციოა.

**PERIOD:** Late Middle Ages

### LOCATION

The Kokotauri winepress is located in the village Kokotauri of the Keda Municipality, 250 m away from the Batumi-Akhalsikhe main motor road.

### DESCRIPTION

The winepress is built of worked stones of different sizes with the use of lime mortar. Its eastern wall is destroyed. The length of the winepress is 5.4 m, the width – 2 m, the height – 1.2 m. Some years ago a local resident unearthed a 1 ton capacity jar (Kvevri) from the territory of the winepress and moved it to his private yard. The jar was coated with lime.

**FUNCTION:** Non-functional



კორომხეთის  
საწნახელი

KOROMKHETI  
WINEPRESS



**პერიოდი:** ადრეული შუა საუკუნეები

### მდებარეობა

კორომხეთის საწნახელი მდებარეობს ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ კორომხეთში, ცენტრალური საავტომობილო გზის ბათუმი-ახალციხის მონაკვეთის კორომხეთის გადასახვევიდან 350 მეტრის დაშორებით.

### აღწერილობა

საწნახელი ბუნებრივ ქვაშია გამოკვეთილი და მისი სიგრძე 2.7 მეტრია, სიგანე 90 სმ, ხოლო სიღრმე 80 სმ აღმოსავლეთის მხარეს შიგნით საწნახელს აქვს ხვრელი წვენის გამოსასვლელად. ჩრდილოეთის კედელზე აქვს ფოსლები, მათი დანიშნულება უცნობია.

**ფუნქცია:** უფუნქციო.

**PERIOD:** Early Middle Ages

### LOCATION

Koromkheti winepress is located in the village Koromkheti of the Keda Municipality, at a distance of 350 m from the turn to the village Koromkheti from Batumi-Akhaltzikhe motor roads.

### DESCRIPTION

The winepress is carved in natural stone. Its length is 2.7 m, the width – 90 cm, the depth – 80 cm. The winepress has an opening on the eastern side and holes on the northern wall, the purpose of which is not known.

**FUNCTION:** Non-functional





ოქტომბერის  
აჯაშპირის  
საწნახელი

AJASHPIRI  
WINEPRESS  
IN THE VILLAGE  
OKTOMBERI



**პერიოდი:** XI-XII სს.

### მდებარეობა

საწნახელი მდებარეობს ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქტომბერში, აჯაშპირის უბანში.

### აღწერილობა

საწნახელი გამოკვეთილია ოვალური ფორმის ქვაზე, მისი სიგრძე 2.2 მეტრია, სიგანე – 1.9 სმ, სიმაღლე – 85 სმ.

**ფუნქცია:** უფუნქციო.

**PERIOD:** XI-XII centuries

### LOCATION

The winepress is located on the Ajashpiri site of Octomberi village in Keda Municipality.

### DESCRIPTION

The winepress is carved in oval stone. Its length is 2.2 m, the width – 1,9 m, the height – 85 cm.

**FUNCTION:** Non-functional

**ნაპღესიანი, ნასახანი,  
წყარო, ბამოქვაბული**

REMAINS OF CHURCHES  
AND RESIDENTIAL HOUSES,  
SPRING AND CAVE



ზენდიდის  
ნაგებობები

REMAINS  
OF CHURCH IN  
ZENDIDI



**პერიოდი:** IX –X სს.

### მდებარეობა

ზენდიდის ეკლესია მდებარეობს ზენდიდის ციხიდან 150-200 მეტრის დაშორებით ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში.

### აღწერილობა

ეკლესია დარბაზული ტიპისაა (სიგრძე – 6.6 მეტრი, სიგანე – 4.8 მეტრი) და ნაგებია ბაზალტის ლოდებით. 2001 წელს ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები და იატაკიდან 70 სმ-ის სიღრმეზე აღმოჩნდა მიცვალებულის ჩონჩხი რკინის ჯვრითა და ხელით ნაძერწი ჭრაცხით.

**ფუნქცია:** ამჟამად უფუნქციოა.

**PERIOD:** IX –X centuries

### LOCATION

Remains of the church are located 150-200 m West-Eastward of the Zendidi fortress.

### DESCRIPTION

This hall church (length- 6.6 m, width – 4.8 m) is built of basalt boulders. As a result of archaeological investigations carried out in 2001, a human skeleton with an iron cross and a sculptured lantern has been discovered 70 cm beneath the floor of the church.

**FUNCTION:** Non-functional





ოქტომბრის  
შარვაშიძეების  
ნასახლარი

REMAINS OF THE  
SHARVASHIDZEEBIS  
HOUSE IN  
OCTOMBERI



**პერიოდი:** XVII ს.

### მდებარეობა

შარვაშიძეების ნასახლარი მდებარეობს ქედის მუნიციპალიტეტის სოფელ ოქტომბერში.

### აღწერილობა

მას შემდეგ, რაც შარვაშიძეების საგვარეულოს წარმომადგენლები აფხაზეთიდან გადმოსულან საცხოვრებლად აჭარაში, კერძოდ, ქედაში, არსებული ტერიტორია მათთვის უბოძებით ჯაყელს. სახლი ეკუთვნოდა თუფან-ბეგ შარვაშიძეს, რომელიც იყო ქედის მაზრის მმართველი. სასახლის სიგრძე 15 მეტრი ყოფილა, სიგანე – 12 მეტრი, მოგვიანებით სასახლის ნაწილი დაუნგრევიათ და აუშენებიათ ახალი სახლი, სადაც დღესაც ცხოვრობენ თუფან-ბეგ შარვაშიძის შთამომავლები. ამჟამად სასახლისგან დარჩენილია ფართობი - სიგრძით 13 მეტრი, სიგანე 6 მეტრი, კედლების სიმაღლე – 2 მეტრი გადმოცემით, სასახლეში ყოფილა გვირაბი, რომელიც სასახლეს აკავშირებდა მდინარესთან.

**ფუნქცია:** საცხოვრებელი.

**PERIOD:** XVII century

### LOCATION

Remains of the Shervashidze house are located in the village Octomberi of the Keda Municipality.

### DESCRIPTION

When the ancestors of Sharvashidzebi moved from Abkhazia to Adjara, they were granted lands in Keda by Jakeli. The house was owned by Tufan Beg Sharvashidze who was a governor of Keda County. The length of the house was 15 m and the width was 12 m. Then the owners of the house dismantled a section of the old house and built a new one, where the descendants of Tufan Beg Sharvashidze still reside. Currently, a 13 m long and 6 m wide space surrounded by 2 m high walls survived. According to the legend, there was a tunnel connecting the house to the river.

**FUNCTION:** Residential



მედიბნას  
წყარო

MEDZIBNA  
SPRING



**პერიოდი:** წყაროს მოპირკეთება ადრეული შუა საუკუნეებით თარიღდება, მოგვიანებით ის აღუდგენიათ.

### მდებარეობა

ქედის მუნიციპალიტეტის სოფელი მედიბნა.

### აღწერილობა

მედიბნას წყარო აშენებულია სხვადასხვა ზომის კარგად დამუშავებული სწორკუთხა ქვებით კირის ხსნარზე. სიგრძე – 3 მეტრი, სიმაღლე – 1.9 სმ.

**ფუნქცია:** წყარო.

**PERIOD:** The spring was decorated in early Middle Ages. Later it was renovated.

### LOCATION

Village Medzibna of the Keda Municipality.

### DESCRIPTION

The outlet of the Medzibna spring is built of rectangular stones of different sizes with the use of lime mortar. It is 3 m long and 1.9 m high.

**FUNCTION:** Spring





## კოლოტაურის ნეოლითური ხანის გამოქვაბული KOLOTAURI NEOLITHIC CAVE



**პერიოდი:** ნეოლითი/ძვ. წ. მეექვსე ათასწლეული

### მდებარეობა

ქ. ბათუმიდან 28 კმ-ის დაშორებით. მდ. აჭარისწყლის მარცხენა სანაპირო. სოფ. კოლოტაურის დასავლეთით, ე.წ. „ჭვარიქედის“ კლდეთა სისტემის უკიდურეს აღმოსავლეთ მონაკვეთში. იგი პირდაპირ გადაჰყურებს მდ. აჭარისწყალს.

### აღწერილობა

ბუნებრივი გამოქვაბული გამოყენებული იყო საცხოვრისად. გამოქვაბულის სიგრძეა 7 მეტრი შესასვლელი მონაკვეთის სიგანე – 5 მეტრი, სიმაღლე შესასვლელთან – 3 მეტრი. გამოქვაბული შიგნით თანდათანობით დაბლდება და ვიწროვდება. ბოლოში მისი სიმაღლე 1.5 მეტრია. გამოქვაბულის შესასვლელი წინა მოედნის ზომებია: 5 X 1.7 მეტრი მცირე მასშტაბის არქეოლოგიური სამუშაოები განხორციელდა 2001 წელს. აღმოჩენილი მასალის მიხედვით, იგი განვითარებული ნეოლითური ხანით თარიღდება.

**ფუნქცია:** უფუნქციო.

**PERIOD:** Neolithic Period/6<sup>th</sup> millennium BC

### LOCATION

The cave is located at the easternmost edge of so-called “Jvarikeda” cliff system westward of the village Kolotauri on the left bank of the Adjaristskali river, 28 km away from Batumi. The cave overlooks the Adjaristskali river.

### DESCRIPTION

This is a natural cave used for inhabitation. The length of the cave is 7 m, the width of its entrance section is 5 m, and the height is 3 m. Inside the cave is lower and narrower. Its height at the end point is 1.5 m. Dimensions of the entrance area are as follows: 5 x 1.7 m. Based on the results of small scale archaeological investigations carried out in 2001, the cave can be dated back to the developed Neolithic Period.

**FUNCTION:** Non-functional



## CENN

ტბელ აბუსერიძის ქ. №10  
6100, დაბა ქედა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა

Tbel Abuseridze Str. № 10  
6100, Keda, Adjara Autonomous Republic

+995593 92 48 44  
[cenn.org](http://cenn.org)  
[environment.cenn.org](http://environment.cenn.org)  
[enpard.ge](http://enpard.ge)

